



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 124

2016 წლის 5 დეკემბერი

ხაშური



საკრებულოს ფრაქცია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული დემოკრატები, ვეტერანები“-ის გაუქმების ცნობად მიღების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული დემოკრატები, ვეტერანები“ (ფრაქციის თავმჯდომარე - ზაური ხაჩიძე) წევრებმა ემზარ მურჯიკნელმა (არჩეული „ძალოვანი ვეტერანების“ პარტიის სიით) და მიხეილ ჯიბუტმა (არჩეული „ბურჯანაძე - გაერთიანებული დემოკრატების“ პარტიის სიით, ამჟამად უპარტიო) დატოვეს ფრაქცია (წარმოდგენილია განცხადებები), რის შედეგადაც ფრაქციაში დარჩა სამ წევრზე ნაკლები, ამიტომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ზემოხსენებული ფრაქცია ითვლება გაუქმებულად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ცნობად იქნეს მიღებული ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული დემოკრატები, ვეტერანების“ (თავმჯდომარე - ზაური ხაჩიძე) გაუქმება.
2. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე და მოქმედება გავრცელდება 2016 წლის 22 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. № 15)

საკრებულოს თავმჯდომარე

 ვაკა შუბითიძე

